



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პედაგოგიური ფაკულტეტი

მასწავლებლის მოსამზადებელი (Minor)
საგანმანათლებლო პროგრამა

ქუთაისი
2011

პროგრამის სახელწოდება: საგნის მასწავლებლის მოსამზადებელი minor პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საგნის მასწავლებელი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული ენა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

- მოამზადოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საგნის მასწავლებელი, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად;
- მისცეს საგნის მასწავლებლისათვის საჭირო პროფესიული ცოდნა, უნარ-ჩვევები და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- შეასწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საგნის მასწავლებლისათვის საჭირო თეორია და მისცეს პრაქტიკული გამოცდილება; მოახდინოს სწავლების მეთოდების ადაპტირება სწავლების სტილისა და პოზიციის შესაბამისად;
- მოამზადოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საგნის მასწავლებელი-მკვლევარი, რომელსაც ექნება თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ჩატაროს წინასწარ დაგეგმილი კვლევა თავის დარგში, მოახდინოს მონაცემების შეგროვება და გააკეთოს დასაბუთებული დასკვნა;
- შეასწავლოს განათლების თეორიები და მეთოდოლოგიის საფუძვლები, სწავლისა და სწავლების სტრატეგიები, საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურა და მიზნები, შეფასების სხვადასხვა მეთოდები, მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები მიზნები და პრინციპები, მოსწავლეთა სწავლის პროცესის სირთულეები და მასზე რეაგირება;
- იცოდეს სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის გადაცემა და/ან თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებებით პრეზენტაციის ჩატარება;
- იცოდეს სწავლა/სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტური, შემოქმედებითი გამოყენება და ჩართვა;
- მისცეს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დისციპლინების ცოდნა;
- მისცეს ცოდნა ეროვნული განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლების და სტრუქტურის აგების შესახებ;
- მისცეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საგნის საბაზისო ცოდნა;
- შეასწავლოს სწავლის/სწავლების და შეფასების სტრატეგიები.
- შეასწავლოს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზნები;
- მისცეს ცოდნა ჯანსაღი უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობის შესახებ;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საგნის მასწავლებლის მოსამზადებელ minor პროგრამაზე შემომსვლელი უნდა სწავლობდეს შესაბამისი საგნის ბაკალავრის აკადემიურ პროგრამის მეორე კურსზე (ბრძანება).

სწავლის შედეგები

ა) ცოდნა და გაცნობიერება;

- აცნობიერებს განათლების თეორიების და მეთოდოლოგიის საფუძვლებს, სწავლისა და სწავლების სტრატეგიებს და თეორიებს, საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურას და მიზნებს, შეფასების სხვადასხვა მეთოდებს, მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, მიზნებს და პრინციპებს;
- აცნობიერებს მოსწავლეთა სწავლის პროცესის სირთულეებს და რეაგირებს მასზე;
- აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დისციპლინების ცოდნა;

- იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს და სტრუქტურას ;
- აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საგნის საბაზისო ცოდნას;
- ფლობს სწავლის/სწავლების და შეფასების სტრატეგიებს.
- გაცნობიერებული აქვს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზნები;
- აქვს ცოდნა ჯანსაღი უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობის შესახებ;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

- შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება, მიღებული მონაცემების დამუშავება და პრეზენტაციის ჩატარება;
- აქვს სწავლა/სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ჩართვის უნარი;
- აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საგნის ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- ფლობს სწავლების მეთოდებს, კომუნიკაციური დიდაქტიკის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს, იყენებს მას მოსწავლის ზეპირი და წერიტი მეტყველების განვითარების მიზნით;
- აქვს თემატური გარემოს შექმნის მიზნით სხვადასხვა ტიპის ტესტის შერჩევის, შედგენისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- აქვს დედუქციური და ინდუქციური მსჯელობის, შეხედულებათა დასაბუთების, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზის უნარი;
- ფლობს ინტეგრირებული სწავლების მეთოდებს და იყენებს პრაქტიკაში;
- შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- იცნობს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს და შეუძლია მისი ადექვატურად გამოყენება სასწავლო პროცესში;
- იცის სწავლებისა და განვითარების თეორიები, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ითვალისწინებს სწავლების პროცესში;
- სასწავლო პროცესში ითვალისწინებს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას, ფლობს ინდივიდუალური მიდგომის ტექნიკას;
- შეუძლია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კლასის მართვაში წამოჭრილი პრობლემების გაცნობიერება და მისი გადაჭრა;
- აცნობიერებს და ანალიზებს საგანმანათლებლო მეცნიერებათა დარგთაშორისი და მომიჯნავე მეცნიერებათა შორის კავშირებს და იყენებს მათ თავის პრაქტიკაში;
- აქვს პედაგოგიურ პრაქტიკაში სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების უნარი;
- აქვს ყველა მოსწავლისთვის სწავლის ხელშემწყობი და სამართლიანი გარემოს შექმნის უნარი;
- აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრის უნარი;
- აქვს მოსწავლის მრავალმხრივ საჭიროებებზე რეაგირების უნარი;
- აქვს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის უნარი;

გ) დასკვნის უნარი;

- ფლობს განათლების სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემებისა შეგროვებისა და განმარტებისათვის საჭირო ცოდნას და უნარ-ჩვევებს;
- აქვს აბსტრაქტული და შემოქმედებითი აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- შეუძლია სწავლება/სწავლის პროცესის ამსახველი განყენებული მონაცემების და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი და დასკვნის გაკეთება.

დ) კომუნიკაციის უნარი;

- ფლობს განათლების სფეროში იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას ქართულ და უცხო ენებზე;
- ფლობს და იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს ინტერნეტისა გამოყენების უნარი კომუნიკაციისა და ინფორმაციის მოძიებისათვის;
- კურსდამთავრებული ფლობს ქართულ და უცხო ენაზე ენაზე ა კომუნიკაციის უნარს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე, შეუძლია სპეციალური დარგობრივი ლიტერატურის წაკითხვა და კრიტიკული გააზრება;
- ფლობს მოსწავლეთა ჯგუფთან და/ან ინდივიდთან კომუნიკაციის, დიალოგის წარმართვისა და თანამშრომლობის უნარს;
- შეუძლია პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან;
- აქვს სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი.

ე) სწავლის უნარი;

- შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების გამოყენებით, საკუთარი სწავლის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა და გაგრძელება;
- იცნობს უწყვეტი განათლების მიღებისათვის განათლების სფეროში გამოცემულ ლიტერატურას და შეუძლია მოიძიოს სწავლება/სწავლისათვის საჭირო რესურსები;
- აფასებს და დაგეგმავს საკუთარი სწავლის პროცესის განხორციელების საჭიროებებს;
- აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი.

ვ) ღირებულებები.

- მოზარდის განვითარების, აღზრდის და განათლების აქტუალური საკითხების მეცნიერულად დამუშავების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა
- აქვს უნარი თავისი პოზიცია, ცოდნა და კვლევის შედეგები გასაგები გახადოს როგორც სპეციალისტთათვის, ასევე არასპეციალისტებისთვის;
- ფლობს ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ინფორმაციის შეფასების, შეჯერების, შედარების, კრიტიკული ანალიზისა და კლასიფიკაციის უნარს;
- აქვს სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასების უნარი, ფლობს ქცევის ეთიკურ ნორმებს და ცდილობს მათ დამკვიდრებას;
- იცნობს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების დებულებებს (საქართველოს კონსტიტუციას, ბავშვთა უფლებების კონვენციას, ადამიანის უფლებების დეკლარაციას, კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმებს, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტს, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს და სხვ.) ითვალისწინებს მათ სასწავლო პროცესში და ესწრაფის მათ დასამკვიდრებლად;
- ფლობს პედაგოგის პროფესიული ეთიკის საფუძვლებს და ხელმძღვანელობს პროფესიული ფასეულობებით; იცის და აქვს უნარი პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოიყენოს სწავლების თანამედროვე მეთოდური სისტემები, ტექნოლოგიები და ცდილობს მათ დამკვიდრებას სასწავლო პროცესში;
- აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი;

- უვითარებს შემდეგ ღირებულებებს: სამართლიანობას, ობიექტურობას, პედაგოგიურ ტაქტს, პედაგოგიურ ოსტატობას, ეფექტურ კომუნიკაციას, თანამშრომლობას, გუნდური მუშაობას, დემოკრატიული მართვის სტილს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლის შემდეგი მეთოდები: ლექცია, მინი ლექცია, დისკუსია, თხრობა, საუბარი (სოკრატეს მეთოდი) და სხვა.

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
4. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
5. **ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
6. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, მედიცინის სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული, ვთქვათ ყარაბახის (სომხეთ-აზერბაიჯანის) კონფლიქტის ანალიზი და ა. შ.
7. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
 - დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
 - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
 - კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
 - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

9. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია., ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

10. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

- სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვებმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

11. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

12. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

13. **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.

- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

მოცემული ძირითადი მეთოდების გარდა არსებობს სწავლების უამრავი მეთოდი, რომლის შერჩევა მასწავლებელს შეუძლია კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებული დასაქმდება საჯარო და კერძო სკოლების საგნის მასწავლებელად, რესურს-ცენტრებში სპეციალისტად, პროფესიულ სასწავლებლებში და განათლების სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რითაც სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ნებისმიერ სასურველ დროს და მოიძიონ საჭირო ინფორმაცია.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება პედაგოგიური ფაკულტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტი, სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტი, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტი და შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტების აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები (იხილეთ დანართი).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შენიშვნა: უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შემოწმება-შეფასება მიმდინარეობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №35 (10/11)

I. შუალედური შეფასებები-60% II. ფინალური გამოცდა-40% III. საბოლოო შეფასება-100%

I. შუალედური შეფასებები-60 %

- I შუალედური გამოცდა-30 %. ჩატარდება ზეპირი ფორმით (მექვსე კვირაში).
- II შუალედური გამოცდა-30%. ჩატარდება ზეპირი ფორმით (მეთორმეტე კვირაში).

III. ფინალური გამოცდა-40 %.

• ფინალური გამოცდა დაინიშნება სემესტრის ბოლოს დეკანატის მიერ დადგენილი ცხრილით. ფინალური გამოცდა მოიცავს კურსში გავლილი ყველა თავის შემოწმებას. საგამოცდო ბილეთში შეტანილი იქნება ოთხი საკითხი. გამოცდა ჩატარდება ზეპირი ფორმით.

IV. საბოლოო შეფასება-100%

• საგნის მიმდინარე და საბოლოო შეფასების ჯამური ქულა სემესტრში არის 100. საგანი ჩაბარებულად ითვლება დადებითი შეფასების მიღებისას (51 ქულა და ზევით). შეფასება იწარმოებს 10 ბალანიანი სისტემით.

სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს მიმდინარე, ფინალურ და სხვა აქტივობებს. კონკრეტული შეფასებების სისტემა კურსების მიხედვით გაწერილია სილაბუსებში.

შეფასების კომპონენტში იწერება შემდეგი სახის პირველადი შეფასებები თითოეული საკითხის მიხედვით:

შეფასება	პირობა
10	პასუხი სრულია. სტუდენტი ამჟღავნებს საგამოცდო საკითხის ყოველმხრივ, სისტემურ და ღრმა ცოდნას, გამართულად ასრულებს საკითხით გათვალისწინებულ ყველა დავალებას. ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას. ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული, როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა.
9	
8	თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა საკითხის სრული ცოდნა და გააშუქა იგი მცირეოდენი ხარვეზებით. არსებითი შეცდომა არ არის. კარგად ფლობს განვლილ მასალას. ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.
7	
6	პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია მცდარია. სტუდენტი ამჟღავნებს საკითხის ცოდნას იმ მოცულობით, რაც საკმარისია შემდგომში სწავლისა და მომავალი პროფესიული
5	

	მუშაობისათვის(საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული);ფლობს განვლილ მასალას მაგრამ აღენიშნება შეცდომები. თავი გაართვა საკითხით გათვალისწინებული დავალების მოცულობის არანაკლებ ნახევარს.
4	პასუხი არასრულია.ტერმინოლოგია მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ, სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა, აღენიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.(სტუდენტი ამჟღავნებს საკითხის არასრულყოფილი ცოდნას).
3	
2	პასუხი ნაკლოვანია.ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული.პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემს საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს.
1	
0	პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის. სტუდენტი საკითხს საერთოდ არ ამუქებს ან აბსოლუტურად არასწორად ამუქებს.

სტუდენტის მიერ მოპოვებული ქულა - X, განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$X = e / 10 * n$$

სადაც, e არის ბილეთში მოცემული თითოეული საკითხის პირველადი შეფასებების საშუალო არითმეტიკული;

n - შეფასების კომპონენტისათვის განკუთვნილი ქულა.

საგამოცდო უწყისში აისახება სტუდენტის მიერ მოპოვებული ქულა.

(მაგალითი: ვთქვათ სტუდენტმა სამ საკითხიან ბილეთში საკითხების მიხედვით მიიღო შემდეგი პირველადი შეფასებები-3, 4, 6. ამ პირველადი შეფასებების საშუალო არითმეტიკული იქნება - (3+4+6)13:3=4,3.

თუკი შეფასების ამ კომპონენტისათვის განკუთვნილი ქულა n=20, მაშინ სტუდენტის მიერ მოპოვებული ქულა იქნება:

$$X=4,3/10 \times 20=8,6$$

საბოლოო ქულობრივი შეფასებები განიმარტება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით() :

შეფასების სისტემა

ქულები	შეფასება	შეფასება (ECTS)
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა, გამოცდის გადაბარების უფლებით	FX
41-ზე ნაკლები	ჩაიჭრა, თავიდან უნდა გაიაროს საგანი	F

სასწავლო გეგმა

№	კურსის დასახელება	კურსის კოდი	კრედიტი	სულ სთ.	ლ/პრ/დამ	სემესტრები							
						I 15 კვ	II 15 კვ	III 15 კვ	IV 15 კვ	V 15 კვ	VI 15 კვ	VII 15 კვ	VIII 15 კვ
1	პედაგოგიკა 1	PPB0300	5	125	30.15.80			5					
2	პედაგოგიკა 2	PPB0310	5	125	30.15.80				5				
3	პედაგოგიკა 3	PPB0320	5	125	30.15.80					5			
4	განათლების ისტორია	PPB0030	5	125	30.15.80							5	
5	პედაგოგიური პრაქტიკა	PPB0220	5	125	-								5
6	განათლების ფსიქოლოგია	SFB0800	5	125	30.15.80			5					
7	სკოლის მართვა და ორგანიზაცია	PPB0330	5	125	30.15.80						5		
8	განათლების მართვა	PPB0550	5	125	30.15.80								5
9	საგნის სასკოლო კურსი 1		5	125	0.45.80				5				
	ქართული ენა და ლიტერატურა	PMB0650											
	მათემატიკა	PMB0690											
	გეოგრაფია	NGB0510											
10	საგნის სასკოლო კურსი 2		5	125	0.45.80					5			
	ქართული ენა და ლიტერატურა	PMB0660											
	მათემატიკა	PMB0700											
	გეოგრაფია	NGB0520											
11	საგნის სწავლების მეთოდიკა 1		5	125	15.30.80						5		
	ქართული ენა და ლიტერატურა	PMB0670											
	მათემატიკა	PMB0710											
	გეოგრაფია	NGB0500											
12	საგნის სწავლების მეთოდიკა 2		5	125	15.30.80							5	
	ქართული ენა და ლიტერატურა	PMB0680											
	მათემატიკა	PMB0720											
	გეოგრაფია	NGB0550											
	სულ		60	1500				10	10	10	10	10	10

კომპეტენციათა ცხრილი

№	კურსი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ლირებულეზები
1	პედაგოგია 1	X	X			X	X
2	პედაგოგია 2	X	X	X	X	X	X
3	პედაგოგია 3	X	X			X	X
4	განათლების ისტორია	X	X			X	X
5	პედაგოგიური პრაქტიკა	X	X	X		X	X
6	განათლების ფსიქოლოგია	X	X			X	
7	სკოლის მართვა და ორგანიზაცია	X	X		X	X	X
8	განათლების მართვა	X	X			X	X
9	საგნის სასკოლო კურსი 1						
	ქართული ენა და ლიტერატურა	X	X			X	X
	მათემატიკა	X	X	X			
	გეოგრაფია	X	X		X		X
10	საგნის სასკოლო კურსი 2						
	ქართული ენა და ლიტერატურა	X	X			X	X
	მათემატიკა	X	X	X			
	გეოგრაფია	X	X		X		X
11	საგნის სწავლების მეთოდიკა 1						
	ქართული ენა და ლიტერატურა	X	X			X	X
	მათემატიკა	X	X	X	X	X	X
	გეოგრაფია	X	X		X		X
12	საგნის სწავლების მეთოდიკა 2						
	ქართული ენა და ლიტერატურა	X	X			X	X
	მათემატიკა	X	X	X	X	X	X
	გეოგრაფია	X	X		X		X

სასწავლო კურსების მოკლე ანოტაციები

პედაგოგიკა-1

სასწავლო კურსის კოდი – PPB0300

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: .პედაგოგიკის კვლევის საგანი პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება ადამიანის აღზრდის შესახებ; პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების აღმოცენება. პედაგოგიკის დამხმარე კატეგორიები. პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემა. პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები. პედაგოგიური მეცნიერების კვლევის ტრადიციული მეთოდები; პედაგოგიური მეცნიერების კვლევის თანამედროვე მეთოდები. აღზრდისა და განვითარების ურთიერთობის პრობლემა პედაგოგიკაში; განვითარების მამოძრავებელი ძალები, აქტივობა როგორც განვითარების ფაქტორი; მოზარდის ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაციის ისტორიული ცდები; ასაკობრივი საფეხურების დახასიათება; აქსელერაცია და მოზარდის ინდივიდუალური თავისებურებანი. აღზრდის მიზანი და ამოცანები; პიროვნების ჰარმონიული განვითარების იდეა; განათლების სახელმწიფო პროგრამა საქართველოში; მასწავლებლის სოციალურ-პიროვნული თვისებები. მასწავლებლის პედაგოგიური ტაქტი და ავტორიტეტი. პედაგოგიური ეთიკა და პედაგოგიური დაოსტატების საფუძვლები. პედაგოგიური პროცესის მართვის სტილი, მისი სახეები და საშუალებები. საზღვარგარეთის თანამედროვე პედაგოგიური კონცეფციები.

პედაგოგიკა-2

სასწავლო კურსის კოდი – PPB0310

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პედაგოგიკის საყოფაცხოვრებო, პრაქტიკული, დანიშნულება, პედაგოგიკა თანამედროვე ცხოვრების საერთო კულტურულ კონტექსტში. კავშირი სხვა მეცნიერებებთან. დიდაქტიკის საგნის თეორიული საფუძვლებისა და აქტუალური პრობლემების შესახებ; დიდაქტიკა, როგორც განათლებისა და სწავლების თეორია. დიდაქტიკის ცნებები. სწავლების ფუნქციები: განმავითარებელი, საგანმანათლებლო, აღმზრდელო ბიტი, პროფესიონალური მომზადების. დიდაქტიკა, როგორც განათლებისა და სწავლების თეორია. დიდაქტიკის ცნებები. სწავლების ფუნქციები: განმავითარებელი, საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, პროფესიონალური მომზადების. დიდაქტიკის წარმოშობა და განვითარება. დიდაქტიკის წარმოშობის ისტორიული მიმოხილვა. სწავლების არსის, სტრუქტურის, მამოძრავე ბელი ძალების თანამედროვე გაგება. განმავითარებელი სწავლების ცნება. სწავლების კანონები და კანონზომიერებები. სწავლების გნოსეოლოგიური, საფუძვლები. სწავლების ზოგადპედაგოგიკური საფუძვლები. სწავლების ეტაპები. აღმზრდელობითი სწავლება და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება, მისაწვდომობა. სწავლების ფსიქო-ფიზიოლოგიური საფუძვლები. აღქმა, ყურადღება მესხიერება, აზროვნება, ინტერესი, ემოცია, ნებელობა. სწავლების დიდაქტიკური პრინციპები; სწავლების პრინციპების ცნება. (მეცნიერულობის პრინციპი, ცოდნის სისტემატურობისა და სწავლების თანმიმდევრობის პრინციპი, შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი, თვალსაჩინოების პრინციპი, ცოდნის მტკიცედ დაუფლებისა და განმეორების პრინციპი. სწავლების პრინციპების სისტემა, მისი ინტეგრირებული მახასიათებელი. განათლების შინაარსი. საკითხის ისტორია. განათლების თეორიები: ფორმალური და მატერიალური. სასწავლო მასალის შერჩევის პრინციპები და კრიტერიუმები. სასწავლო გეგმა, პროგრამა, სახელმძღვანელოები. თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები. საგანმანათლებლო ტექნოლოგიის ცნება. ეროვნული სასწავლო გეგმა და დაწყებითი კლასების პროგრამები. (ზოგადსა განმანათლებლო სკოლებისათვის); კანონი ზოგადი განათლების შესახებ . მოსწავლის ქცევის კოდექსი. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის ტანდარტი. მასწავლებლის პროფესიული მომზადების კონცეფცია. სწავლების დიდაქტიკური მეთოდები და მეთოდური სისტემები. სწავლების მეთოდების ცნება და ხერხი. სწავლების მეთოდების არჩევა მათი კლასიფიკაციის საფუძველზე. სწავლების დომინანტური ტიპის არჩევა, მეთოდური სისტემის ცნება. გადაცემითი (ინფორმაციულ-ილუსტრაციული, რეპროდუქციული) სწავლება. სწავლების ინოვაციური მეთოდები. სწავლების ორგანიზაციის ფორმები. (ისტორიული მიმოხილვა). სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმები; სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა გაკვეთილი. სპეციალიზებული ტიპის გაკვეთილები; კომბინირებული გაკვეთილი, მისი სტრუქტურა ცოდნის შემოწმება-შეფასების ფორმები (ისტორიული მიმოხილვა), ცოდნის შემოწმება-შეფასების მეთოდები; ცოდნის შემოწმება-შეფასების თანამედროვე ფორმები, სახეები, კრიტერიუმები; მასწავლებლის მზადება გაკვეთილისათვის. სასწავლო მასალის მიზნის, შინაარსის, მეთოდების შერჩევა; მოსწავლეთა სასწავლო აქტივობის ამაღლების ხერხები. სწავლების მრავალფეროვნება; ემოციური ფონი, სწავლების კავშირი ცხოვრებასთან, მიზნის სიცხადე, ახსნითი მუშაობის გეგმის გაცნობა, თანამშრომლობის სიტუაციები, საგაკვეთილო ნიშანი.

პედაგოგიკა-3

სასწავლო კურსის კოდი – PPB0320

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: .აღზრდის მიზანი და ამოცანები; აღზრდა და საზოგადოება; აღზრდის კანონზომიერებანი და პრინციპები; მსოფლმხედველობის ფორმები; აღზრდის კულტურის ფორმირების საფუძვლები; სამოქალაქო აღზრდის დანიშნულება; დისციპლინისა და ქცევის კულტურის აღზრდა; მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა; შრომითი და გონებრივი აღზრდა; ესთეტიკური და კულტურის აღზრდა; საოჯახო აღზრდა; გონებრივი აღზრდა; რელიგიური აღზრდა; ადამიანის თავისუფლების და პასუხისმგებლობის პრობლემა; თავისუფლების პრობლემის გადაუჭრელობის მიზეზები; საუბარი ხელოვნებაზე; ხელოვნება და მოზარდი; კამიუს უცხო პედაგოგიური ანალიზი; ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი პირობები

განათლების ისტორია

სასწავლო კურსის კოდი – PPB0030

